თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 7,
ტელ/ფაქსი: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

G. Tabidze st 7, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

კონსტრუქციული დასკვნა

მიმდებარე შენობების მდგრადობაზე

მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ბროსეს ქუჩისა და ბროსეს ჩიხის შეუღლების კუთხეში ამჟამად დაშლილი საცხოვრებელი სახლის და ტერიტორიის ბოლოში (ჩრდილოეთის მხარეს) არსებული, დასაშლელი აბურის სახლის ადგილზე.

საპროექტო შენობა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (ბროსეს ქუჩაზე) ესაზღვრება 2 სართულიან, მსხვილბლოკური კონსტრუქციების ტიპის შენობას, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან (ბროსეს ჩიხში) 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიას (ეზოს).

დასავლეთის მხარეს შენობის ეზო შემოსაძღვრულია არსებული აბურის საქრდენი კედლებით, რომლების ბროსეს ქუჩის მხრიდან სამ სართულიანი სახლისთვის ქმნიან ეზოს, რომლის სიმაღლე საპროექტო შენობის ეზოს დონიდან იქნება შვიდი მეტრი. ანუ ეს აბურის კედლები ფაქტიურად წარმოადგენენ საქრდენ კედლებს, რომლის ერთი ნაწილი ჩამოშლილია და გათვალისწინებულია მისი აღდგენა.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების და პროექტით მიღებული გადაწყვეტებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის განთავსება საფრთხეს არ უქმნის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (ბროსეს ქუჩაზე) და ჩრდილოეთის მხრიდან (ბროსეს ჩიხში) მდებარე არსებულ შენობებს და გაძლიერების სამუშაოები არ არის საჭირო.

დასავლეთის მხარეს საპროექტო შენობის ეზოს შემომსაზღვრელი არსებული აბურის საქრდენი კედლების ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს საექსპლოატაციო საიმედოობის მოთხოვნებს, განსაკუთრებით სეისმური ზემოქმედების პირობებში. გააჩნია ნორმალური ექსპლუატაციისთვის საშიში ბზარები და დეფორმაციები. ამიტომ პროექტით გათვალისწინებულია ამ კედლების გამაგრება.

რაც შეეხება ბროსეს ჩიხში მდებარე სახლს, მას გააჩნია თავისი, მომიჯნავე ნაგებობებისაგან გამოყოფილი, აბურის მზიდი კედლები. მისი დემონტაჟი უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით და უარყოფით გავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: საბა პაპაშვილი
ტელეფონი: 599-32-33-68
მეილი: saba_pap7@yahoo.com

03.06.2014